წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა №22

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის შემმუშავებელი ქვეკომისიის თავმჯდომარე პროფ. ჯემალ ბერიძე);
2. სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტთან არსებული თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების ზრდის საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
3. სტუ-ს არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდების დროს (ხატვასა და გრაფიკაში) დაკავებული პროფესორებისა და სხვა თანამშრომლების შრომის ანაზღაურების საკითხის დამტკიცება (მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი);
4. მიმდინარე საკითხები.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 28 მაისის სხდომის
ოქმი №22

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, სიითი შემადგენლობის 71 წევრიდან, ესწრებოდა 57. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი პროფ. ეკატერინე თევზაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი. **წარმოდგენილ დღის წესრიგს კენჭი ეყარა ერთხმად.**

სპიკერი – პირველი საკითხი უნდა გამოეტანა რეგლამენტის ქვკომისიის თავმჯდომარეს პროფ. ჯემალ ბერიძეს. იმის გამო, რომ ბ-ნი ჯემალ ბერიძე აგვიანებს, მე წარმოგიდგენთ დღის წესრიგის პირველ საკითხს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ. კომისია გთავაზობთ, რომ რეგლამენტის – მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს ისე, როგორც ეს წესდებაში გასწორდა, კერძოდ: "წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების ჩატარებას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს სპიკერი. სპიკერის არ ყოფნის შემთხვევაში სპიკერის დავალებით სხდომას უძღვება წარმომადგენლობითი საბჭოს ერთ-ერთი წევრი. სპიკერის დავალების არარსებობის შემთხვევაში სხდომას წარუძღვება

წარმომადგენლობითი საბჭოს ის წევრი, რომელიც აირჩევა საბჭოს დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში სხდომის წამყვანის არჩევა შეიტანება დღის წესრიგის პირველ საკითხად და არჩევის პროცედურას უძღვება სხდომაზე დამსწრე წევრთაგან უხუცესი. (იხ. დანართი 1).

გთხოვთ ამ პუნქტის შესწორებულ ვარიანტს ვუყაროთ კენჭი.

სპიკერის მიერ, საბჭოს რეგლამენტის მუხლი 17. 1. პუნქტში შეტანილ ცვლილებას, კენჭი ეყარა ერთხმად.

სპიკერი – წარმოგიდგენთ მე-17 მუხლის 2 პუნქტს შემდეგი რედაქციით:
"წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება (ბიუჯეტის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის და საკადრო საკითხების დამტკიცებისას), თუ მას ხმა მისცა სრული სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ, სხვა დანარჩენ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება უბრალო უმრავლესობით."
(იხ. დანართი 1). გთხოვთ კენჭი ვუყაროთ.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა რეგლამენტის მე-17 მუხლის 2 პუნქტში შეტანილი ცვლილება. კენჭისყრის შედეგად დადგინდა: მომხრე – 30, წინააღმდეგი – 13. საბჭოს სხვა დამსწრე წევრებმა თავი აარიდეს კენჭისყრაში მონაწილეობას, ამიტომ კომისიის მიერ რეგლამენტის 17.2. პუნქტის შემოთავაზებული ცვლილება საბჭოს მიერ არ დამტკიცდა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 28 მაისის №22 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №22 სხდომაზე სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ. კერძოდ ცვლილება ეხება: 17 <u>მუხლის – 17.1.</u> და <u>17.2 პუნქტებს.</u>

<u>**მუხლი 17.1 სტუ-ს წესდების შესაბამისად შემოთავაზებული იქნა შემდეგი რედაქციით:**</u>

17.1 – "წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომების ჩატარებას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს სპიკერი. სპიკერის არ ყოფნის შემთხვევაში სპიკერის დავალებით სხდომას უძღვება წარმომადგენლობითი საბჭოს ერთ-ერთი წევრი. სპიკერის დავალების არ არსებობის შემთხვევაში სხდომას წარუძღვება წარმომადგენლობითი საბჭოს ის წევრი, რომელიც აირჩევა საბჭოს დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში სხდომის წამყვანის არჩევა შეიტანება დღის წესრიგის პირველ საკითხად და არჩევის პროცედურას წაუძღვება სხდომაზე დამსწრე წევრთაგან უხუცესი."

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით აღნიშნული პუნქტი დამტკიცებული იქნა ერთხმად.

<u>მუხლი 17.2.</u> **შემოთავაზებული იქნა შემდეგი რედაქციით:**

17.2 – "წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება (ბიუჯეტის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის და საკადრო საკითხების დამტკიცებისას), თუ მას ხმა მისცა სრული სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ, სხვა დანარჩენ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება უბრალო უმრავლესობით."

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით აღნიშნული მუხლის 2 პუნქტი არ დამტკიცდა (მომხრე 30, წინააღმდეგი 13).

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მეორე საკითხზე: სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტთან არსებული თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების ზრდის დამტკიცება, მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, ეს კანონი დამუშავებული იქნა ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის დეკანისა და აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელის მიერ. ეს საკითხი განხილული იქნა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს საფინასო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე, აკადემიურ საბჭოზე და დღეს წარმოდგენილია თქვენთან. (იხ. დანართი 2).

პროფ. ჯემალ ბერიძე – აქ აღნიშნულია, რომ ნამეტი თანხის გადახდა განხორციელდება სტუ-ს ფასიანი სწავლების შემოსავლებიდან, მაგრამ თუ არ იქნება ფასიანი სწავლება, მაშინ?

პროფ. ივანე შევთვალიშვილი – რას ნიშნავს მოწვეული სპეციალისტები?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ისინი კითხულობენ საჯარო ლექციებს, რომლებიც ეძღვნება საქართველოს ისტორიასა და ზოგადად რელიგიას. ჩვენ გამოვიყვანეთ ფაქტიურად საჯარო ლექციების საფასური.

სპიკერი – რადგან წარმოდგენილი საკითხი განხილული იქნა საფინანსო-ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომაზე და გვაქვს კომისიის დადებითი დასკვნა, ასევე აკადემიური საბჭოს სხდომაზეც,

ვფიქრობ შეგვიძლია საკითხს პირდაპირ ვუყაროთ კენჭი.

დღის წესრიგის მეორე საკითხს კენჭი ეყარა ერთხმად..

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 28 მაისის №22 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №22 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ჰუმანიტარულ-სოციალურ ფაკულტეტთან არსებული თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის თანამშრომელთა სახელფასო განაკვეთების ზრდის დამტკიცების შესახებ.

გვარი, სახელი	**თანამდებობა**	**არსებული ხელფასი (ლარებში)**	**ხალი ხელფასი (ლარებში)**
ჯაფარიძე ანანია	მიტროპოლიტი, ცენტრის ხელმძღვანელი	528	800
ბესტავაშვილი ჯამბული	ლაბორანტი	134	211
სამხარაძე ნატალია	ლაბორანტი	134	211
ჩიტიაშვილი მარიამი	ლაბორანტი	134	211
რევაზიშვილი თამარი	ლაბორანტი	134	211
გამრეკელი გიორგი	პროტოპრესვიტერი, მოწვეული სპეციალისტი	50	150
ბურდული ავთანდილი	დეკანოზი, მოწვეული სპეციალისტი	50	150
მალხაზიშვილი გიორგი	დეკანოზი, მოწვეული სპეციალისტი	50	150
ჭაბაშვილი მამუკა	დეკანოზი, მოწვეული სპეციალისტი	50	150
მაჭარაძე მიხეილი	დეკანოზი, მოწვეული სპეციალისტი	50	150
გურამიშვილი გურამი	დეკანოზი, მოწვეული სპეციალისტი	50	150
გელაშვილი ავთანდილი	მღვდელი, მოწვეული სპეციალისტი	50	150
ბადიაური გიორგი	მღვდელი, მოწვეული სპეციალისტი	50	150
გუგუაშვილი გოჩა	მოწვეული სპეციალისტი	50	150

შენიშვნა: ნამეტი თანხის გადახდა განხორციელდება სტუ-ს ფასიანი სწავლების შემოსავლებიდან.

წარმომადგენლობითმა საბჭომ, წარმოდგენილ სახელფასო განაკვეთებს, წარმომადგენლობითი საბჭოს საფინანსო და ეკონომიკური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის დადებითი დასკვნის საფუძველზე, კენჭი უყარა ერთხმად.

სპიკერი – გადავიდეთ დღის წესრიგის მესამე საკითხზე: სტუ-ს არქიტექტურის ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე მისაღები

გამოცდების დროს (ხატვასა და გრაფიკაში) დაკავებული პროფესორებისა და სხვა თანამშრომლების შრომის ანაზღაურების საკითხის დამტკიცება, მომხსენებელი სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ეს საკითხი განხილული იქნა აკადემიურ საბჭოზე, ახლა გამომაქვს თქვენთან. არქიტექტურის ფაკულტეტი თავისი შინაარსით განსხვავდება სხვა ფაკულტეტებისაგან. ინსტიტუტი ყოველწლიურად გამოყოფდა თანხას ამ ტურების ჩასატარებლად, შარშან ეს თანხა გამოყოფილი არ იყო, რადგან მიღება არ იყო, ახლა დადგა ამის საჭიროება. ეს თანხა ადრე შეადგენდა 3 000 ლარს, წელს კი ალბათ დაახლოებით 4 000 ლარამდე გაიზრდება.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ჩვენ თანხმობას ვაცხადებთ, მაგრამ განვიხილოთ რა თანხა იქნება საჭირო და საიდან გაიხარჯება. თანხა აუცილებლად უნდა იყოს ნაჩვენები და კონკრეტულად გაწერილი.

პროფ. ვლადიმერ ხოჭოლავა – მისაღების ყველანაირ თანხას აფინანსებს გამოცდების ეროვნული ცენტრი. რატომ არ აფინანსებს ამას?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ყველა საგანს აფინანსებს შესაბამისი ორგანო, მაგრამ ტურებს არა.

პროფ. ჯემალ ბერიძე – რატომ არ აფინანსებს ამას საგამოცდო ცენტრი? იქნებ მიგვემართა მათთვის?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – ბატონ გოჩა მიქიაშვილმა მიმართა ცენტრს და მათ უპასუხეს, რომ ტურებს აფინანსებს თვითონ უნივერსიტეტი. ჩვენ შემოვიტანთ ხარჯთაღრიცხვას, შემდეგ თქვენი გადასაწყვეტია დაამტკიცებთ თუ არა.

პროფ. იგორ კვესელავა – ჩვენ გამოცდების დროს ცენტრს ვაძლევთ VI კორპუსს. ისინი გვიხდიან თანხას? თანაც იშლება სასწავლო პროცესი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – დაიდო "თხოვების ხელშეკრულება", რომელიც გრძელდება წლების განმავლობაში. ისინი იხდიან მხოლოდ კომუნალურ გადასახადს, ფართის გადასახადს არ იხდიან.

სპიკერი – მართალია ეს საკითხი საბჭოს საფინანსო-ეკონომიკური საკითხების შემსწავლელ მუდმივმოქმედ კომისიაზე არ განხილულა, რადგან არც შემოსულა, მაგრამ განხილული იყო აკადემიურ საბჭოზე, რაზედაც გვაქვს აკადემიური საბჭოს დადებითი დასკვნა. ვფიქრობ, ჩვენ შეგვიძლია კენჭი ვუყაროთ წარმოდგენილ საკითხს, რადგან კენჭს ვუყრით პრინციპულ

თანხმობას, გაანგარიშება კი მომავალში იქნება წარმოდგენილი.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხს კენჭი ეყარა უმრავლესობით, თავი შეიკავა –1-მა.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 28 მაისის №22 სხდომის
ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №22 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდების დროს (ხატვასა და გრაფიკაში) დაკავებული პროფესორ-მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების შრომის ანაზღაურების საკითხის დამტკიცების შესახებ.

სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით, საბჭომ უმრავლესობით გადაწყვიტა დამტკიცდეს:

– სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდების დროს (ხატვასა და გრაფიკაში) მონაწილე პროფესორ-მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების შრომის ანაზღაურების საკითხი.

– სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე მისაღები გამოცდების დროს (ხატვასა და გრაფიკაში) მონაწილე პროფესსორ-მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების შრომის ანაზღაურება განხორციელდეს სტუ-ში დადგენილი საათობრივი ანაზღაურების პრინციპით.

– სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმომადგენლობით საბჭოს წარმოუდგინოს შესაბამისი გაანგარიშება კონკრეტულად გაწერილი ხარჯებით.

სპიკერი – დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია, ვინმეს ხომ არ სურს მიმდინარე საკითხების წარმოდგენა?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – მე მინდა წარმოვადგინო ერთი საკითხი. ეს საკითხი უნდა გამოეტანა ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანს, ბატომ ზურაბ წვერაიძეს, მაგრამ სპიკერმა თქვა, რომ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა უნდა გამოიტანოსო, ამიტომ მე გამომაქვს. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით დეკანმა წარმოგვიდგინა თხოვნა, რომ ფაკულტეტის სტრუქტურაში შეტანილი იქნას ცვლილებები, კერძოდ:

1. ერთი სპეციალისტი შეიცვალოს უფროსი სპეციალისტით;
2. ლაბორანტების რაოდენობას დაემატოს კიდევ ორი ლაბორანტი.

სპიკერი – ეს საკითხი ოფიციალურად არ შემოსულა. ამ საკითხის დღეს განხილვა რეგლამენტის დარღვევაა. ჩვენ გვაქვს საკითხის გამოტანის წესი, 5

დღით ადრე და შემდეგ გადის კომისიას. მე არავითარი თხოვნა თქვენგან არ მიმიღია და მიმაჩნია, რომ შეიძლება განვიხილოთ, მაგრამ არ უნდა დავამტკიცოთ.

პროფ. დავით ჯაფარიძე – ყველა ფაკულტეტმა რომ შემოიტანოს ამგვარი თხოვნა რას იზამთ? ეს უნდა მიიღოს აკადემიურმა საბჭომ. წარმოადგინეთ აკადემიურ საბჭოზე და შემდეგ დავამტკიცებთ ჩვენ.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მუხლი 28 გ) პუნქტი მდგომარეობს იმაში, რომ დეკანი შეიმუშავებს ფაკულტეტის სტრუქტურას და დებულებას დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

სპიკერი – ეს არ არის სტრუქტურული ცვლილება, ეს არის ცვლილება საშტატო განრიგში.

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტრუქტურაში არსებობს ფიზიკის დეპარტამენტი, რომელსაც ჩამოვაჭერით შტატები, რადგან მიღება არ ჰქონდათ. ახლა მივიღეთ პროფესიული განათლების სტუდენტები, წელს კიდევ გვაქვს მიღება. დეპარტამენტს არ ყოფნის ლაბორანტები და საჭიროებს დამატებას.

პროფ. დავით ჯაფარიძე – პროცესს აქვს თავისი წესები, კომისიაზე ვიმსჯელოთ და გადავწყვიტოთ.

პროფ. ნოდარ კოდუა – ბატონო არჩილ, ეს განმარტება რომ გააკეთეთ ყველაფერი გასაგებია.

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – ეჭვი გეპარებათ, რომ ეს საკითხი საჭირო იყო და ამიტომ გამოვიტანეთ?

პროფ. დავით ჯაფარიძე – ეხლა ეს ფაკულტეტი ითხოვს, რომ მოითხოვოს ყველა ფაკულტეტმა ყველას უნდა მივცეთ? ბიუჯეტს აქვს ამის საშუალება?

პროფ. არჩილ ფრანგიშვილი – 2002-2005 წლებში იმისთანა ბიუჯეტზე ვმუშაობდით . . . , მაგრამ ახლა ეს საჭიროა, აბა ჩავშალოთ მუშაობა?

სპიკერი – საკითხის ამ სახით, პირდაპირ სხდომაზე შემოტანა მე არ მიმაჩნია სწორად, სულ ცოტა ჩემთვის მაინც, როგორც საბჭოს სპიკერისთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი, მე წინააღმდეგი ვარ ამ ფორმით საკითხის შემოტანის და დამტკიცების.

პროფ. ჯუმბერ იოსებიძე – დღეს გავაკეთოთ გამონაკლისი, ამის შემდეგ გავითვალისწინოთ და ყველა საკითხი განვიხილოთ ყველა პროცედურის დაცვით. გთხოვთ დააყენოთ საკითხი კენჭისყრაზე.

სპიკერი – როგორც გამონაკლისი – ვუყაროთ კენჭი წარმოდგენილ საკითხს.

მიმდინარე საკითხებში წარმოდგენილ საკითხს კენჭი ეყარა უმრავლესობით, წინააღმდეგი – 1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2008 წლის 28 მაისის №22 სხდომის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №22 სხდომაზე სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, მიმდინარე საკითხებში, წარმოდგენილი იქნა საკითხი სტუ-ს ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საშტატო ნუსხაში ცვლილების შეტანის თაობაზე:

– ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული 1 სპეციალისტის თანამდებობის შეცვლა მთავარი სპეციალისტის თანამდებობით, რაც წლის ბოლომდე სახელფასო ფონდის გასავალს გაზრდის 690 ლარით (6 თვის განმავლობაში);

– ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტს დაემატოს ლაბორანტის 2 საშტატო ერთეული, რაც წლის ბოლომდე სახელფასო ფონდის გასავალს გაზრდის 2532 ლარით (6 თვის განმავლობაში).

– ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სათანადო ცვლილება შეიტანოს ბიუჯეტში, სახელფასო ფონდის ხარჯვით ნაწილში.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა უმრავლესობით, – 1 წინააღმდეგი, დამტკიცდა წარმოდგენილი საკითხი.

პროფ. დავით ჯაფარიძე – მე, მინდა ვისაუბრო იჯარებთან დაკავშირებით ჩვენ გამოვყავით კომისია, ბატონ ვახტანგ დათაშვილს, დაევალა შეესწავლა და აღენუსხა ყველა გაიჯარებული ფართი. საჭიროა შეიქმნას სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, სადაც ყველაფერი იქნება გამჭვირვალე. მე ვფიქრობ, რომ ადმინისტრაციამ ეს უნდა უზრუნველყოს. მეორე საკითხი არის ძალიან სერიოზული – ან კავკასიის ბიზნეს უნივერსიტეტი გასახლებული უნდა იქნას, ან უნდა გადაიხადოს გადასახადი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – რაც შეეხება, იჯარებთან დაკავშირებულ საკითხებს ჩვენ შევქმენით კომისია, რომელმაც ჩაატარა აზომვითი სამუშაოები. ყველა ის ფართი, რომელიც გაიჯარებულია, ნოტარიულად არის დამოწმებული და ვიბარებთ ყოველ გადახდას. ცხადია კომისიის შექმნა თქვენი პრეროგატივაა, მე ამ საკითხთან დაკავშირებით პრობლემას ვერ ვხედავ. რაც შეეხება ბიზნეს სკოლის საკითხს, როდესაც ეს საკითხი მიჩუმათდა მე გავწიე სერიოზული სამუშაო. თქვენ იცით, რომ ეს სკოლა მილევადობის რეჟიმში მუშაობს. ის

გადადის თავის შენობაში. არსებობს ხელშეკრულება ბატონ რამაზ ხუროძის ხელმოწერით. ის თანხა, რაც უნდა გადაეხადა კავკასიის ბიზნეს სკოლას 2001, 2002, 2003, 2004, 2005 წლებში გადახდილია ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ბრძანებით კავკასიის ბიზნეს სკოლას დაფარული აქვს 100 249 ლარი. 2005 წლის ჩათვლით ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ, რაც შეეხება 2006 წელს, გადახდილი თანხა არ ფიქსირდება, მაგრამ მათ გადახდილი აქვთ კომუნალური გადასახადი. 2007 წელს მათ გადახდილი აქვთ ელექტრო ენერგიისა და გაზის საფასური, ასევე 10 000 ლარი. დოკუმენტალურად მე მათ ვეღარ ვედავები. ჩვენ მოვითხოვეთ ხელშეკრულების შესრულება. მათ წარმოადგინეს თავიანთი წინადადება. თანხას, რომელიც მათ აღიარეს, გადაიხდიან გარკვეული გრაფიკით. 2008 წელს, პირველ ჯერზე, 10 000 ლარს, 2008 წლის სექტემბერში 5 000 ლარს, 2009 წლის იანვრის ბოლომდე 5 000 ლარს, სექტემბერში კი 29 015 ლარს. სულ მათი ვალი შეადგენს 245 076 ლარს.

პროფ. დავით ჯაფარიძე – მათ დაკავებული აქვთ 2000 m^2-ზე მეტი ფართი. მართალია ისინი გადადიან, მაგრამ ჩვენ უნდა ავღძრათ საქმე. მათ უკანონოდ უკავიათ ჩვენი ტერიტორია.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი – თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ უნივერსიტეტი მოიგებს? მათ შეუძლიათ წარმოადგინონ ისეთი საბუთები, რომ საქმე მოიგონ. უნივერსიტეტი მზადაა სასამართლოში ტყუილად გადაიხადოს ფული და საქმე წააგოს?

სპიკერი – ძალიან გთხოვთ შევწყვიტოთ კამათი, დღეს ეს საკითხი ვერ გადაწყდება, იჯარებთან დაკავშირებით განაგრძოს კომისიამ მუშაობა და წარმოადგინოს მასალები განსახილველად.

სპიკერმა, პროფ. ეკატერინე თევზაძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი /ეკატერინე თევზაძე/

სხდომის მდივანი,
ასოცირებული პროფესორი /გინა გურეშიძე/